# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 26 ხუთშაბათი, 18 დეკემბერი 1908 წ. № 26

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით—90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განაცხადები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**



## გაზ. „დროების" კანტორისაგან

„დროების" კანტორა უმორჩილესად სთხოვს იმ ქალაქელ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთი არ მიუღიათ აცნობონ ეს უსათუოდ კანტორას გაზეთის დროზე მიუღებლობა გამოიწვია იმან, რომ დამტარებლებად ახალი კაცები არიან, რადგან ძველებს ბოროტ-მოქმედება აღმოაჩნდათ და ამიტომ კანტორამ დაითხოვა.

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

## დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიდუმლო" დეპეშები. დეპეშები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთბაშად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უდამატებოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:** „დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

### ხელის მომწერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5 დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

## ტფილისის სახაზინო თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, თეატრის კასირის მ. ფ. სტრელკოვა-პლიამის ბენეფისი წარმოდგენილი იქნება

## „მხიარული ქვრივი"

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, ზასლავსკაია, კალინინა მეორე, ოსიპოვა, ფერრარი; ბ-ნნი დანილევსკი, ევლახოვი, კარელინი, ლუტჩევი, როზანოვი, როსსოლიმო, სიმონოვი და სხვ.

დირიჟორი **ანტონ ეიხენვალდი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** ხვალ „დემონი". მზადდება წარმოსადგენად „ელკა", „ნური და ანიტრა".



## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა 3 მოქმედებად. ბენეფისი საზოგადოების საყვარელის, შესანიშნავ კომიკის **რიჩარდ რიბოსი.** მრავალი ახალი რამ, განსაკუთრებით ამ ბენეფისისთვის მომზადებული. დასასრულ დიდი ბალეტი. დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

10% უკანასკნელ სამ დღეს ფასს-დაკლებით 10%

18, 19 და 20 დეკემბერს

## პ. ს. დოროფეევი

(სოლოლაკის ქ., ს. გურგენოვისა, ტელეფონი № 583)

**სეზონის გათავების გამო უკანასკნელ სამ დღეს, ე. ი.**

18, 19 და 20 დეკემბერს

ყველა სასეზონო საქონელი გაიყიდება

## მანეთიდან 10 პროცენტის დაკლებით

ნამინალური ფასები ზედ აწერია და ამ ფასებს დაეკლება.

(1—ხალ.—1)

8 დეკემბერს გაიხსნა ახალი

## ტფ. კერძო სამკურნალო (ამბულატორია)

ღიაა ყოველ-დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაკზლის ქ., 8; ხ. ენფიანჯიანცისა; ტელეფონი 695.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოვ. დღე გარდა ოთხშ. და კვირისა 8 ნახ.—9 ნახ. საათამდე შინაგანი.

**ექ. ვ. დ. ლამბაშიძე:** ყოვ. დღე, კვირა დღის გარდა, 11—12 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ორშ., ოთხშ., ხუთშ. და შაბ.; 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყ.

**ექ. ბ. მ. მაკაროვი:** სამშ. და პარ.; 12—1 ს.; შინაგან ავადმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოვ. დღე; 11 ნახ—12 ნახ. ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავადმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოვ. დღე; 1—2 ს.; დედათა და ხირურგ. ავად.

**ექ. ი. გ. გომართელი:** ყოვ. დღე; 2—3 ს.; შინაგ. და ბავშვ ავადმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოვ. დღე; კვირა დღ. გარდა, 2—2 ნახ. ს., თვალის ავადმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათა გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით.

(25—657—7)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული. ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ.ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

(100—6.—87)

## ცნობა

სავაჭრო სახლი

## ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის

**ნიკოლოზის ხიდზე, ქამოევის სახლში №№ 25—30.**

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ მყიდველებს, რომ რადგანაც საკუთარ ფაბრიკაში დამზადებულია დიდ-ძალი საქონელი

**100,000 მანეთისა:**

მამაკაცის, დედაკაცის, ბავშვების და ყველა დაწესებულების ფორმების; და, საზოგადოთ, ვაჭრობის შეჩერების გამო, მთავარ გამგეობის განკარგულებით ამ წლის **პირველ დეკემბრიდან** ყველა საქონელზე, რომელიც ინახება საზამთრო და საზაფხულო მაღაზიებში ტფილისში დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა

(10—6.—6)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლეჟავოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—13)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—16)

**ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი. ბროსეს ქუჩა, N 11. (25—656—11)

**ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—23)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდუშელის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—53)

**ექიმი გ. ე. ხოჯააპარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—20)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—52)

**ექიმი თვალისა ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.; ვერა, ოლგას ქ., N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—668—6)

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—28)

**ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საგუბერნიო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—კვ.—16)

## სამკურნალო

ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მშობიარობისთვის ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—12)

ახალი გაზეთი

საპოლიტიკო და სალიტერატურო

## „ივერია"

გამოვა **ორშაბათობით**

გაზეთში **კვირის** ამბები და დეპეშები მოთავსდება.

გაზეთის მიზანია—მკითხველს გააცნოს რუსეთის და საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური ვითარება და ქართველების კულტურული და ეროვნული ინტერესები დაიცვას.

**ფასი ყველგან 5 კაპ.**

გამყიდველებს შეუძლიანთ იყიდონ გაზეთი ტფილისში „სორაპანის" სტამბაში, საღამ. 6 საათზე.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, ერევნის მოედანი, გურგენოვის სახლი, ნოტარიუს მღებროვის კანტორასთან.

ფოსტის და დეპეშის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ИВЕРІА". (3—უ.—1)


## ტფილისი, 18 დეკემბერი.

პურიშკევიჩის გამოლაშქრებამ კავკასიის შესახებ შეკითხვის დროს მთელი რუსეთი აალაპარაკა. ყველა მოელოდა, რომ უკიდურესი მემარჯვენენი ისარგებლებენ შემთხვევით და სათათბიროში სკანდალს მოახდენენ; მაგრამ სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. თავხედობა, ალვირ-აშვებულობა პურიშკევიჩებისა უსაზღვროა, ისე როგორც უსაზღვროა მათი უმეცრება და შოვინიზმი. სრულიად უაზრო სიტყვა პურიშკევიჩისა ძლიერია მხოლოდ იმით, რომ გაჟღენთილია თავდაუჭერელ ცილისწამებით, შეუწყნარებელ ლანძღვა-გინებით და ნამდვილ ბარბაროსულ კაცთ-მოძულეობით. კითხულობ მის სიტყვას და ვერ დაგიჯერებია, რომ იგი სახალხო წარმომადგენლობის წინაშე იყო წარმოთქმული და არა გაველურებულ, გალოთებულ ხულიგანების კამპანიაში; კითხულობ და ვერ გადაგიწყვეტია—რას უპირავს ამ სიტყვაში უმთავრესი ადგილი: უმეცრებას, კაცთმოძულეობას, ცილისწამებით საზოგადო მოღვაწეების, განუსაზღვრელ თავხედობას—ყველაფერს ერთად მოუყრია თავი ამ, უკაცრავად პასუხია, ამყრალებულ თაიგულში... თან ისიც გიკვირს, როგორ ისმენდა ამ სიტყვას სათათბიროს რიგიანი ნაწილი მოთმინებით? რატომ არ აინთო რისხვითა და გულისწყრომით? როგორ მოხდა, რომ ამავე დეგენერატს გამოექომაგნენ და დაცვა დაუწყეს, როცა მის საქციელს ღირსეული სახელი უწოდეს?!.

ჭეშმარიტად უბედურია ის ხალხი, რომელსაც ასეთ ძნელს ისტორიულს ხანაში, როგორშიაც ამ ჟამად იმყოფება რუსეთი, პურიშკევიჩებისთანა მასხარები მოევლინა პირველ როლის აღმასრულებლად!..

მოკლედ რომ დავსკნათ პურიშკევიჩის სიტყვა, შემდეგ თაიგულს სახელმწიფოებრივ სიბრძნისას მივიღებთ: კავკასია ხელში ჩაუგდიათ სომეხ და ქართველ სეპარატისტებს; მთელი ქართველი და სომეხი ერი სეპარატისტია; მათ აქვთ გაზეთები, თეატრები, კულტურული დაწესებულებანი, რომელნიც კავკასიის რუსეთისაგან ჩამოშორებისთვის მუშაობენ; ყველაფერი ეს იცის კავკასიის უმაღლესმა ადმინისტრაციამ, მაგრამ მოქრთამულია და არა-თუ წინააღმდეგობას არ უწევს „ინოროდცების" ასეთს ღალატს, თვითონაც ხელს უწყობს რევოლიუციონერთა მოღვაწეობასო. ამიტომ, მთელი ადმინისტრაცია უნდა გამოცვლილ იქმნას და ჭეშმარიტ რუს მოხელეთ უნდა ჩაებაროს კავკასია; ისინი ბოლოს მოუღებენ ქართველ-სომეხთა თეატრებს, სკოლებს, კულტურულ დაწესებულებათ, პრესსას და, თუ საჭიროება მოითხოვს, სულ ამოჟლეტენ მოღალატე ერებსაო!.. და ესეთი სახელმწიფოებრივი სიბრძნე გაისმის რუსეთის პარლამენტში,—იმ პარლამენტში, რომლისაგან შველასა და ხსნას მოველოდით ..ჩვენი ქვეყანა, აოხრებული და გაველურებული, მიწასთან გასწორებული და შეურაცყოფილი, ციურ მანანასავით მოელოდა რუსეთში კონსტიტუციის დამყარებას იმ იმედით, რომ ხალხის წარმომადგენლები დაიცავენ ქვეყანას, რომელიც უფსკრულამდე მიიყვანა ბიუროკრატიის უსულგულო მმართველობამ, უაზრო ცენტრალისტურმა მართვა-გამგეობამ, მეხანიკურ გარუსების პოლიტიკამ, ადგილობრივ სულიერ და ნივთიერ მოთხოვნილებათა სისტემატიურმა აბუჩად აგდებამ! ამის მაგიერ ამ ჩვენგან ათვალწუნებულ ბიუროკრატიას, ჩვენს დამღუპველს მმართველობის რეჟიმს **ლმობიერებას სწამებენ** და ჩვენვე ვართ იძულებულნი ეს ბიუროკრატია დავიცვათ! აი ბოროტი დაცინვა, რომლის მსგავსი ძნელია კიდევ მოიპოვებოდეს რომლისამე ერის და ქვეყნის ისტორიაში...

მოწინავე რუსის პრესსა და საზოგადოება იმით გვანუგეშებენ, რომ ახლანდელი სათათბირო რუსეთის ნამდვილი წარმომადგენლობა არაა, რომ რუსეთში პარლამენტის და განახლების ხანა არ დამდგარაო. ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ სანუგეშო აქ ცოტა ყრია. „სანამ პეტრე მოვიდოო, პავლეს ტყავი გააძრესო", ამბობს ჩვენებური ანდაზა. თუ ჩვენს ქვეყანას კიდევ ის ბედი მოელის, რომ პურიშკევიჩების მიერ დაყენებულ ადმინისტრაციის ექსპერიმენტები უნდა განიცადოს, მერე რაღა განკურნავს ჩვენს ღრმა იარას?!. ჩვენ კარგად გვესმის, რომ თუ პურიშკევიჩის ნატვრა აღსრულდა და კავკასია შავრაზმელების ხვედრი გახდა, „მავრის" ბატონობასაც მაშინ მოეღება ბოლო, რადგან მაშინ უკეთ გამოჩნდება ის უფსკრული, საითკენაც მიაქანებენ რუსეთს რეაქციის თავხედი ბელადები. მაგრამ იმას აღარავინ კითხულობს, რაღ დაგვიჯდება ჩვენ ეს ცდა, მოვინელებთ თუ არა იმ ექსპერიმენტს?..

ისტორიული პერსპექტივა, რომელსაც თვალ-წინ გვიშლის რუსეთის ახალ ისტორიის პირველი ხანა, მეტად უნუგეშო და სამწუხაროა. სხვისი იმედით, თუნდ განახლებული რუსეთიც იყოს ეს „სხვა", ცხოვრება აღარ გვარგია და, თუ გვინდა მართლა დავიცვათ ჩვენი არსებობა, უნდა გავაასკეცოთ მუშაობა საკუთარ ჩვენის ძალ-ღონის, ჩვენის შინაურის ძალებისა კულტურის გასაძლიერებლად...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

პურიშკევიჩის სიტყვა, დეპეშით გადმოცემული, უკვე დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, მაგრამ დეპეშამ სრულად არ გადმოგვცა შინაარსი ამ შავ-რაზმელის სიტყვისა. როგორც ეხლა სატახტო ქალაქის გაზეთებიდანა სჩანს, ათასი სისულელე ურო შნია პურიშკევიჩს. კავკასიის ნამესტნიკსაო, უთქვამს მას, სხვათა შორის, ყველაზე მეტად რევოლიუციონერები იცავენო. ადგილობრივ რევოლიუციონური გაზეთები სულ კანკალებდნენ, როდესაც ნამესტნიკის გადაყენებაზე ხმები დადიოდაო.

ყველაზე საინტერესო ის არის, განაგრძო შემდეგ ორატორმა:—რომ დიდის მოწიწებით ეძლევიან ნამესტნიკს ისეთი გაზეთები, როგორიც არიან „ბაკუ" და „ზაკავკაზსკოე ობოზრენიე". პირველი სომეხთა რევოლიუციის გაზეთია, მეორე ქართველთა რევოლიუციის. ამათ არც მთავრობა სწამთ, არც ღმერთი. და აი ასეთი გაზეთები, შალ მალ სწერენ: „მისმა ბრწყინვალებამ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ინება წაბრძანება", „მისი ბრწყინვალება მობრძანდა", მისი ბრწყინვალება წაბრძანდა" და სხვა.

აი ასეთია საქმის ვითარება კავკასიაში და მე მაკვირვებს, რომ გარეშე საქმეთა სამინისტროში არიან ისეთი კაცები, რომელნიც მხარს უჭერენ სომხებს. ამ დღეებში გარეშე საქმეთა სამინისტრომ ქაღალდი გაუგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამ ქაღალდს თან გააყოლეს მოხსენება გირსისა სომხების მდგომარეობის შესახებ კავკასიაში. მოხსენებაში ნათქვამია, თუ რუსეთის მთავრობას სურს გამაგრდეს კავკასიაში, უნდა მხარი დაუჭიროს სომხებსაო.

ყველაზე მეტი სისულელე პურიშკევიჩს ეგზარხოსის ნიკონის მკვლელობაზე უთქვამს:

მკვლელობაო,—სთქვა პურიშკევიჩმა:—მოხდა ქართულ სასინოდო კანტორის პირდაპირის მონაწილეობით. დიაღ, იღო-

ვეს ეს კავკასიის ნამესტნიკმა და მისმა წარმომადგენელმა. მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს მღვდელმა ჯიჯავაძემ. ამ მღვდელს და მკვლელებისთვის 834 კაცისაგან მოგროვებული ფული ეძლევა; რაა: რეგოლიუციონურმა კომიტეტმა მკვლელობის ახრულება დაავალა მეიდ კაცს, და აი მეიერისა ხამლეველებმა. ამისთვის ნარგიზიდან ხაიდუმელად ნამდვილად ქვის. კირიენი. კრებები მოხდა ჯიჯავაძესთან 22 თებერვალს 1908 წელს, 18 მაისს 1908 წელს, ხოლო 28 მაისს ქინარნეხი მოჰკლეს. იგი მოჰკლა აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელშიაც შედიოდნენ ხუთი ქართველი, ერთი სომეხი და ერთი თათარი, თუმცა ამ თათარს მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია. ხომეხი იყო ტერ-აკოფოვი. სამხედროებიდან მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო ამირიძემ და მეგაბრიშემ, აი, ნამდვილი ფაქტები.

ნეტა ვისთვისა აქვს ფასი ქუჩაში მოკრეფილ ასეთ ჭორებს!?.

## აკაკის იუბილეი

**დ. სამტრედიაში.** არაჩვეულებრივი დღე იყო 7 დეკემბერი დ. სამტრედიისთვის. მადლობის ღირსია ადგილობრივი საიუბილეო კომიტეტი, რომ ასე ბრწყინვალედ შეასრულა სამზადისის დავალება. გათენდა 7 დეკემბერი და დიდი მოძრაობა დაეტყო დ. სამტრედიას. გამოწყობილი მოწაფეები მიიჩქაროდნენ თავ-თავიანთ სასწავლებლისაკენ; ხალხი მიდიოდა ეკლესიისაკენ. დღე მზიანი იყო, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ქარი ქროდა.

შესრულდა 12 საათი და გამოჩნდნენ რკინის გზის ვაჟთა და ქალთა სკოლების მოწაფენი რიცხვით სამასამდე თავიანთ მასწავლებლებით; წინ მოუძღოდათ დეპოს მუშებისაგან შემდგარი ორკესტრი; მათ შეუერთდნენ ვაჟთა ორკლასიან და ქალთა ერთ-კლასიან სკოლების მოწაფენი, რიცხვით 350-დე, ესენიც თავიანთ მასწავლებლებით. ყველა ამათ ეკლესიის ეზოში მოაყარეს თავი და მალე ეს ეზო ხალხით გაიჭედა.

დაიწყო სამადლობელი პარაკლისი. პირველად მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ადგილობრივმა ბლაღოჩინმა ზოსიმე მანაძემ. იგი შეეხო აკაკის საზოგადო მოღვაწეობას. პარაკლისის დროს გალობდა ამ დღისთვის განსაკუთრებით შემდგარი გუნდი.

გათავდა პარაკლისი და პროცესსია დაიძრა რკინის გზის თეატრისაკენ. წინ ორკესტრი, შემდეგ 700-მდე მოწაფეობა და ბოლოს აუარებელი ხალხი. ყველანი ბავშვების ფეხზე მიდიოდნენ. თეატრი გაიჭედა ბავშვებით და მშობლებ-ნაცნობებით. დილა დაიწყო ბავშვებისაგან შემდგარ გუნდის სიმღერით რ. აბულაძის ლოტბარობით. გუნდი მწყობრად მღეროდა; შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს აკაკის ლექსები. ყველანი კარგად იყვნენ მომზადებულნი, საუცხოოდ კითხულობდნენ ლექსებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა ის ლექსები, სადაც ორი-სამი ბავშვი გამოდიოდა ერთად. „ხარაბუზა და ფუტკარში" 7—8 წლის მოწაფემ თოდრაძემ, რომელიც ფუტკრის როლს ასრულებდა, აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. „დედა და შვილში" შვილის როლს ასრულებდა პაწაწა ნიკოლოზიშვილი, მგონი, 6 წლის ბავშვი. საუცხოვო იყო ეს ბავშვი. მადლობის ღირსნი არიან მასწავლებელნი, რომ ასე ხინებულად მოამზადეს მოწაფეები. კარგი იქნება, სკოლების მზრუნველები გადასდებდნენ საჭირო ფულს და წელიწადში ორჯერ-სამჯერ გაამართვინებდნენ მასწავლებლებს მოწაფეებისათვის დილას. ბოლოს უფასოდ, აქვე, წიგნაკები დაურიგეს მოწაფეებს. გათავდა საღიტერატურო დილა და ხალხი დაიშალა.

დაღამდა. ბაზარი ფერად ფარნებით გაჩირაღდა. მშვენიერი სანახაობა იყო, მაგრამ ქარმა დიდ-ხანს არ დააყენა და ჩააქრო. 7 საათზე აუარებელი ხალხი მიაწყდა თეატრს. თეატრის შესასვლელი კარების ორივე მხარე გაზით იყო ძალზე განათებული. თეატრის წინ შეპყრული იყო ფოთლებით და ზევით ნაწილს ამშვენებდა აკაკის სურათი, დაფნის ფოთლებში ჩამჯდარი. შიგნით თეატრი სულ ფოთლებით იყო მოკაზმული. ფარდის ზემოდ შუა ადგილას დახატული იყო უზარმაზარი-კალამი. მის ორივე გვერდზე ეწერა აკაკის ლექსიდან ერთი ტაეპი:

ცრემლში მილესავს ნალველი
და მელნად ის მიხმარია…
შიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგად ცხარი ძმარია!..

უბილეთობის გამო ბევრი სახლში დაბრუნდა. მალე გაიხსნა სცენიდან „მუმლი მუხასა" და ფარდა ნელ-ნელა აიწია. სიმღერას მოჰყვა დაუსრულებელი ტაშის ცემა. გამოჩნდა შემდეგი სურათი: შუა სცენაზე, მაღლობზე, იდგა აკაკის სურათი, მთლად ფოთლებში გახვეული. მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულიყვნენ გვირგვინებით ხელში დაბის წარმომადგენელნი. სურათის უკან იდგა მომღერალთა გუნდი ხელში პატარა დაფნის გვირგვინებით. გუნდმა გაათავა „მუმლი მუხასა" და მ. ი. ჯაშმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია. ბიოგრაფია სრულად და საინტერესოდ იყო შედგენილი. ბიოგრაფიას მოჰყვა ადრესები. საინტერესო იყო სიტყვა ადგილობრივ რკინის გზის სკოლების წარმომადგენლის კენიხბერგის. ადრესების შემდეგ კვლავ შეასრულა გუნდმა „მუმლი და მუხასა" და თან მღეროდა და თან გვირგვინებს აწყობდა. მეორე განყოფილებაში წაიკითხეს პოემა „თორნიკე ერისთავი" და აკაკის სხვა ლექსები. შესრულეს სიმღერები. ლიტერატურულ განყოფილებას მოჰყვა წარმოდგენა. ითამაშეს „პატარა კახიდან" მეორე მოქმედება, რაც მშვენიერად ჩაატარეს და სცენა საპატიმროში. ამ უკანასკნელმა საზოგადოებას ძლიერ აცანა. 12 საათზე გათავდა ყველაფერი და საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა.

კრუხი.

**დ. ხარაგაული** (ბელაგორი). 7 დეკემბერს აკაკის საიუბილეო დღესასწაულში ხარაგაულმაც მიიღო მონაწილეობა. გაგზავნილ იქნა მისალოცი ადრესი ხარაგაულის სოფლის საზოგადოებისაგან, მოსწავლეთა და მასწავლებელთაგან.

ეს დღე აქ აღინიშნა სალიტერატურო დილით. ადგილობრივ ორ-კლასიან სამრევლო სკოლის ეკკლესიაში დაიწყო წირვა. წირვის შემდეგ გადახდილ იქნა პარაკლისი. წირვა პარაკლისზე გალობდა მოსწავლეთა გუნდი ანანია კიკნაძის ლოტბარობით. პარაკლისის წინ მღვდელმა კირილე კელენჯერიძემ წარმოსთქვა სიტყვა; პარაკლისის გათავების შემდეგ დამსწრე საზოგადოებას უფასოდ დაურიგდა აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული.

შემდეგ საზოგადოება მიწვეულ იქნა იმავე სკოლის დარბაზში, სადაც მშვენივრად მოწყობილი იყო სცენა დეკორაციით. ახადა ფარდა და გამოჩნდა აკაკის დიდი სურათი გვირგვინით და ყვავილებით. მარჯვნივ და მარცხნივ იდგა მასწავლებელთა და მოსწავლეთა გუნდი, რომელმაც იმღერა „ვაჰ, ტანგ მეფე ღმერთს უყვარდა" ოთხ ხმაზე. სიმღერის შემდეგ მასწავლებელმა ძოძუაშვილმა წაიკითხა აკაკის ბიოგრაფია. მერე ხორომ იმღერა „მრავალჟამიერ". მასწავლებლებმა გურგენიძემ და დეკანოსიძემ წარმოსთქვეს ლექსები. შემდეგ მოწაფეებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები (ოცდა ხუთამდე), ხოლო ხორომ შეასრულა სიმღერები: სიმინდის თოხნა დაუწყიათ, დღეს მერცხალი შემოფრინდა, მუმლი მუხასა, ახარ ლობიო და ამით დასრულდა დილა და ნაშუადღევის სამ საათზე ხალხი დაიშალა.

დილას დაესწრნენ აქაურ სასწავლებელთა მოსწავლენი მასწავლებლები, ინტელიგენცია და ბაზრის მცირე ნაწილი. უმეტესობა იყო სოფლებიდან. აკაკის სახელზე ბიბლიოთეკის დაარსების შესახებ არჩეულ იქნა კომისიაში ოთხი კაცი: მელქო კიკნაძე, ყუზა დეკანოსიძე, სპირიდონ კიკნაძე და მიხეილ დეკანოსიძე ძალა უნდა დაგვირგვინებულიყო აკაკის ვოდევილის წარმოდგენით („ბეღ ათია"), მაგრამ, მოთამაშე ქალების მინ არ უთქნისა გამო, ვერ მოხერხდა.

რიხხვა

—

**დ. ნაოღალევი.** აკაკის დღესასწაულმა 7 დეკემბერს საუცხოვოდ ჩაიარა. ბუნებამაც თითქოს იგრძნო ეს დღე და ამინდი მშვენიერი დაუდგა. 2 საათზე მოსწავლენი სამინისტრო და სამრევლო სკოლებისა, აქაური და ახლო-მახლო საზოგადოება და მოვაჭრენი ბლომად მიაწყდა იმ შენობას, სადაც უნდა გამართულიყო დღესასწაული. სრულ 2 საათზედ ბლაღ. რ. ჭილაძემ საგანგებოდ მორთულ ზალაში გადაიხადა პარაკლისი. ზალა ძლივს იტევდა დამსწრე საზოგადოებას. პარაკლისის შემდეგ წაკითხულ იქმნა აკაკის ბიოგრაფია. მერე დაიწყო მოწაფეთა მიერ აკაკის ლექსების კითხვა. მასწავლებლებს საუცხოვოდ მოემზადებინათ თავიანთი მოწაფენი.

საღამოს 8 საათზე დაიწყო წარმოდგენა. აქაურ სცენის მოყვარეებმა, ქ-ნ ზარდალიშვილის მონაწილეობით, ითამაშეს „ბუტიაობა" და „უბედური დღე". თუმცა „პატარა კახი"-ს უკანასკნელი მოქმედება უნდა ეთამაშნათ, მაგრამ ტანისამოსის შოვნა ვერ მოახერხეს. წარმოდგენამაც კარგად ჩაიარა.

ჭ.

—

**სოფ. კაკი** (საინგილო). ჩვენი კუთხე აკაკი წერეთლის დღესასწაულში ჩამორჩა დანარჩენ საქართველოს. ვერც საღამოს, ვერც სხვა რამის გამართვა ვერ მოხერხდა, მხოლოდ პარაკლისი იქმნა გადახდილი ალავერდის ეკკლესიაში, რომელსაც დაესწრო მრავალი ინგილო და თათარი. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა მასეილ უდაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დაახასიათა მნიშვნელობა და შრომა ქართველთათვის აკაკი წერეთლისა. შემდეგ მანვე ქნევა სიტყვა გაუმეორა თათრულად დამსწრე მუსულმანებს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 დეკემბერი.

**დიდი მიწისძვრა იტალიაში.**

**რომი.** მიწისძვრამ კალაბრიასა და სიცილიაში ყველაფერი გაანადგურა და ადამიანებიც შეიწირა. მესინაში განადგურებულია ქალაქის დიდი ნაწილი, უმთავრესად დიდი ცეცხლის გამო. ხმა დადის, რომ ადამიანთა მსხვერპლი რამდენიმე ათასს უდრის. რეჯიო-დი-კალაბრია, ბანიარი და პალმი თითქმის სულ განადგურებულნი არიან. პალმიში რამდენიმე ასი კაცი მოკვდა. საზღვაო მინისტრმა დაზარალებულთა საშველად სამი ჯავშნიანი გემი გაგზავნა, საშველი გემები გაიგზავნა აგრეთვე ნეაპოლიდან და კატანიიდან.

**პალერმო.** რკინის გზით მიმოსვლა კატანიისა და მესინას შუა კვლავ განახლდა. ქალაქიდან გამოქცეულნი ამბობენ, სასტუმრო „ტრინაკრია" დაიქცა, მოსამსახურენი და სასტუმროში მცხოვრები 90 კაცი დაიღუპნენ. დაიქცა აგრეთვე საქალაქო სამმართველოს შენობა, ბირჟა, ფოსტა და ყაზარმები. მიწის ძვრის დროს ზღვა ღელავდა და ძლიერმა ტალღამ ქალაქ მესინას გადაუარა. პალერმოდან ჰგზავნიან ჯარებს, ექიმებს და იმას, რაც საჭიროა დასახმარებლად. ავგუსტის ნავთსადგურში რუსეთის გარდემარინთა რაზმი და ინგლისის ესკადრა საშველად გაემართნენ მესინაში.

ამავე ქალაქიდან კიდევ იტყობინებიან: მილატცოში სანიტრო გემმა მოიყვანა 60 კაცი, მესინაში დაშავებული. პიედიმენტოსა და ეტნეოში ბევრი მოკლული და დაჭრილია, ჯიარაში მოკვდა 4, რიპოსტოში 3, ტორეში (ცუდათაა გადმოცემული) მოკვდა და 35 დაშავდა, ფუშკში ორი კაცი მოკვდა.

**რომი.** უმავთულო ტელეგრაფიც ამოწმებს მესინაში მომხდარ მიწის ძვრას. მთავრობა დიდ ზომებს იღებს დაზარალებულთა დასახმარებლად. სანაოსნო საზოგადოებათ წინადადება მიეცათ, გემები მთავრობას გადასცენ. მესინაში მფრინავი ესკადრა უკვე მივიდა.

ამავე ქალაქიდან კიდევ შემდეგი დეპეშაა. „დეპუტატ დეფელიჩემ მინისტრ-პრეზიდენტს ჯიოლიტის მესინიდან დეპეშით აცნობა: მესინა სულ განადგურებულია. მკვდართა და დაშავებულთა რიცხვი ათიათასობით დაითვლება. მიწის ძვრის შემდეგ გაჩენილი ცეცხლი ანადგურებს ყველაფერს, რაც გადარჩა. დელფიჩი სთხოვს მინისტრს დახმარებას დაზარალებულთათვის.

**ბერლინი.** როგორც იდილიიდან იუწყებიან, იქაურ გაზეთების ცნობებით, მიწის ძვრისაგან დაღუპულა 75.000 კაცამდე.

**რომი.** მეფემ მიწის ძვრასაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 200 ათასი ლირი შესწირა. მიწის ძვრის გამო სასახლეებში აღარ იქნება საახალწლო დღესასწაული. მეფე და დედოფალი კალაბრიასა და სიცილიაში წავიდნენ. სემინარიის მართველმა მთავრობას დეპეშით აცნობა, რომ დაბა სემინარი ასრულებით განადგურებულია. ნანგრევებიდან დღემდე 100 მოკლულის გვამი ამოიღეს.

**პარიზი.** მთავრობა მესინაში ჰგზავნის ორ ჯავშნიან გემს და სამ ნაღმის მფრქვეველს. ფალიერმა, პიშონმა და პალატისა და სენატის პრეზიდენტებმა გაგზავნეს იტალიაში დეპეშები მომხდარ უბედურების გამო უსაზღვრო მწუხარების გამოსათქმელად.

**ბერლინი.** საზოგადოებრივი აზრი დიდის თანაგრძნობით მოეკიდა სიცილიაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთ. „ფოსიშე ცეიტუნგი" ჰკრებს შემოწირულებას დაზარალებულთა სასარგებლოდ. სდგება გერმანიის კომიტეტი დახმარების აღმოსაჩენად. იმპერატორმა მეუღლითურთ დეპეშა გაუგზავნა იტალიის მეფეს გულწრფელ მწუხარების გამოსათქმელად. ბიულოვმა იტალიის მთავრობას მწუხარება გამოუცხადა. „ნორდდეიჩე" მომხდარ უბედურებას ცალკე წერილს უძღვნის და აცხადებს, რომ მთელი კულტურული კაცობრიობა იტალიის ხალხისადმი თანაგრძნობით და სიმპატიებით არის აღჭურვილი.

**ბალკანეთი**

**ბელგრადი.** პარლამენტის დახურულ კრებაზე მთავრობამ გამოსთქვა თავისი აზრი საგარეო პოლიტიკაზე.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიურო" სწერს: მოლაპარაკება კონფერენციის პროგრამის შესახებ ავსტრიისა და რუსეთს შორის გათავდა წინასწარ შეთანხმებით, რომლის ძალითაც იზვოლსკი უერთდება ავსტრო-ჰუნგრეთის აზრს, რომ კონფერენციის მოწვევას წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება კონფერენციის მუშაობის წინდა-წინვე განზრახვაზე. იზვოლსკიმ რამდენიმე დღის წინად გამოსთქვა მთავრობის შეხედულება კონფერენციის შესახებ ოფიციალურ ნოტაში. ავსტრიის მთავრობამ 10 დეკემბერს გაუგზავნა მემორია სახელმწიფოებს და შეატყობინა, თუ რა მდგომარეობაშია მოლაპარაკება, რომელიც ამ ჟამად არის. მემორიაში ნათქვამია: ავსტრო ჰუნგრეთის მთავრობამ, მიიღო თუ არა იზვოლსკისაგან კონფერენციის პროგრამა, ყოველი საშუალება იხმარა კონფერენციის იდეის განსახორციელებლად. ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა კონფერენციის მოწვევის აზრს. ვენის მთავრობა კვლავ განაგრძობს მოლაპარაკებას ოსმალეთთან და არ და-

## ფელეტონი

### მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

II*)

როგორც საქართველოშიაც გვსმენია და აქაც მითხრეს, მთელი მცირე აზია მოფენილია აქა-იქ ქართულ სოფლებითა. რამდენიმე სოფელი თვით ევროპის ოსმალეთშიაც არის თურმე. არას ვიტყვი ტრაპიზონის ვილაეთზედ. ეს ქვეყანა თითქმის უმეტესად საქართველო იყო ერთ დროს; მაგრამ შიგ შუა-გულ მცირე აზიაში ნახავ თურმე ქართულ სოფელს, სადაც ენაც შეუნახავთ. მაგალითად, ბ-ნმა ივანე ბეჟანიშვილმა მიამბო, რომ როცა ამას წინად ანატოლიაში რკინის გზის კონტროლიორად ვიყავი, იქა ვნახე, ქართველები მუშაობდნენო, ბევრი მაგინეს ქართულად, მაგრამ როცა გაიგეს ჩემი ქართველობა, მიმიპატიჟეს სოფელში, დიდი პატივი მცეს და უფროსობაც და საუკეთესო ლამაზი ქალებიც შემომაძლიეს, თუ აქ დარჩები და მუსულმანობას მიიღებო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთ გაგონილ არაკებით კაცი ნამდვილ წარმოდგენას ვერაზე იქონიებს. საჭიროა იმ ადგილების დავლა, სოფლების რაოდენობის გაგება, მცხოვრებთა რიცხვის აღნუსხვა და მათი ყოფა-ცხოვრების აღწერა. სანამ ასეთი ხალხი არ მოიძებნება ჩვენში და პირდაპირ არ შეასრულებს ამას, მანამ ყოველთვის ეჭვში ვიქნებით ჩვენ დაკარგულ ქართველთა და მათი რიცხვისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

უფრო სავალალო და სასოწარმკვეთი ის არის, რომ სადაც უნდა ნახო ქართველი აქეთა მხარეს, ყველგან იგი დაჩაგრულია. სტამბოლში ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, გვეშინოდა და ახლაც გვეშინიაო. ეს სიტყვა „შიში" ისე აკერია ყველას ენაზედ, რომ ბოლოს და ბოლოს ველარ მიხვდები — რად ეშინოდათ და რისი ეშინოდათ? ის უბრალო მიზეზები, რომელიც აქ ჩამომითვალეს ჩემმა ნაცნობებმა მიზეზებად არ ჩაითვლება. ინტრიგები, დაბეზღება და სხვა, რასაკვირველია, დევნას იწვევს ადამიანთა წინააღმდეგ და აშინებს, მაგრამ ასეთი შიში, უსაზღვრო შიში, ერთიერთმანეთთან მისვლასაც რომ უკრძალავდა ქართველ მუსულმანს და თითქმის ქრისტიანსაც, ჩემის ფიქრით, ძველთაგან არის დარჩენილი, როცა საქართველოს მეხივით დაეცა ოსმალეთი, მოსპო მესამედი საქართველოსი და ორასის წლის წამების შემდეგ მიაღებინა მუსულმანობა; საშინელი ძალა იხმარა, რომ ენაც წაერთმია და, ასე გასინჯეთ, გვარებიც კი დაევიწყებინა ქართველებისათვის. ენა კი ვერ წაართვა ბევრს, თითქმის უმეტესს ნაწილს, მაგრამ სული და გული რომ ამოაცალა მთლად, რომ საუკუნოდ დააშინა და „გურჯობის" შიში მემკვიდრეობით შიგად გალაიქცა ქართველ მუსულმანთა შორის — ეს კი ცხადი და უეჭველია.

ასე ყოფილა აქამდის, აწი რა იქნება, ეს სულ სხვა კითხვაა, ამაზე ჯერ ვერას ვიტყვით. ჩემის ფიქრით, ეს არის აგრეთვე მიზეზი, რომ ქართველი მუსულმანი დღეს თითქმის უარსა ჰყოფს თავის ქართველობას, თუმცა ორიოდე გულწრფელი სიტყვის შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ თავისიანსა ჰხედავს, ისიც გულ-ამოსკვნილი აღიარებს, ვინც არის, ან ვინც ყოფილა ერთ დროს, თუ თვითონ არა, მისი მამა-პაპა მაინც. მაშინ გვარიც მოაგონდება, ან და თუ არ გაუგონია, ნაცნობებში და ნათესავებში მოიკითხავს — სადმე მაინც ეგულება შენახული. მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის, როგორც ქართული წერა-კითხვა, ისე გვარებიც ქალებისაგანაა დაცული. ყველა, ვისაც გვარი აღარ ახსოვდა, ამბობდა: მოიცადეთ, დედა ჩემს ვკითხო ან მივსწერო, იმას ეცოდინებაო!..

ეხლა კი ცოტათი გამოღვიძებულან, თუმცა რამდენი ხანია სცდილობენ თურმე ყველას შეკავშირებას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. კიდევ რაღაცასი „ეშინიანთ". ან კი, ღვთის წინაშე, როგორ არ უნდა „ეშინოდეთ". ეკონომიური ძალა მათ არა აქვთ ისეთი, როგორიც სომხებს, რომ ქართველის სახლთან სიმდიდრის ძალა იყოს შეკავშირებული. რამდენიმე დიდკაცობაც, რომელიც ყოველთვის ბეწვზედ ჰკიდია და კიდევ უფრო „აშინებს" ადამიანის კარიერას, ხომ სულ ვერ შეჰქმნის ერთობას. საქართველო აღარ არსებობს, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, რომ აქ ჩვენს წარმომადგენელს შეეძლოს მათი დაცვა, მათი სახელით ლაპარაკი. თვით სახელი საქართველოსი და ქართველობისა მოისპო და ლამის არის გამოირიცხოს ხალხთა სიიდან. ველარც კი გვცნობენ ვერსად ჩვენის სახელითა, თუ რუსობა ან სომხობა არა სთქვი, და მოდი და ასეთ ერის ნაწილმა იყოყოჩე და იყვირე, ქართველი ვარო: ვინა გცემს პატივსა და ვინ ჩაგთვლის პატივცემულ ერის შვილად? ამიტომაც არ არსებობს აქაურ ქართველთა შორის ერთობა, ივიწყებენ წერა-კითხვას, არა აქვთ სკოლები, რომ თავიანთ შთამომავლობას მაინც ასწავლონ სამშობლო ენა, არა აქვთ ერთი გაზეთიცა და სხვ. ბევრმა საქართველოზედაც არა იცის-რა. როცა მართალს ეტყვით, უხარიან და უკვირს საქართველოს სიდიდე და განვითარება: მას ისიც აღარ ეგონა, რაც არის, ამიტომაც რაც ჩვენთვის ცოტაა და სასოწარმკვეთი, მათთვის საიმედო და სასიხარულოა.

ეხლა ყველა ჰგრძნობს საქმის ასეთს გარემოებას. რაღაც ეროვნული თავმოყვარეობა იღვიძებს. ჩერქეზებმაც კი დაარსეს კლუბი და ჩვენ რა ჩერქეზებზედ ნაკლებნი ვართო, გ იძახოდა ერთ დღეს ერთი ქართველი მუსულმანი. მაგრამ ეს ერთი იყო, ცხრას კი სამაგიეროდ ისევ ეშინიან. საცოდავი სანახავი კიდევ ის იყო, როცა ერთ საღამოს ზღვის პირად საქმეზედ მივდიოდით მე და ერთი ქართველი. ვლაპარაკობდით კონსტიტუციაზედ, სხვა და სხვა სახელმწიფოებზედა და ოსმალეთთან განწყობილებაზედ, სხვა და სხვა ერებზედ. ილაპარაკა, ილაპარაკა და თან და თან ცრემლები მოერია: ყველას აქვს თავისი „მამული", სამშობლო, „გვარი" (ეროვნება), თავისუფლება და ჩვენ არაფერი აღარა გვაქვს. უნდა ვიაროთ ასე, უცხოთა შორის, ღვთისაგან შეჩვენებულებივითო-ო. ორივენი დავჩუმდით და ფიქრებს მივეცით თავი. მეც ამაზედ დავიწყე გრძელი, გრძელი ჩვეულებრივი ფიქრი; დაუსრულებელ ბოლომით, სასოწარკვეთილებითა და ულონობით აღივსო მთელი ჩემი არსება: მართალს ამბობდა პატრი მერაბი.

ეს პატრი მერაბი ერთ მომქმედ პირთაგანია აქაურ ქართველთა შორის. მისი მეცადინეობით იქმნა დაარსებული ქართველთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება, ერთის დროებით ჩამოსულ ქართველის თავმჯდომარეობით. ამ საზოგადოების დახმარებაში პატრ მერაბს დიდ დახმარებას უწევდა აგრეთვე მისი ძმა, დოქტორი მერაბი, რომელიც ეხლა აბაშეთის იმპერატორის მენელიკის კარის ექიმია.

საზოგადოებამ ვერ იხეირა ორის მიზეზისა გამო: ერთი, რასაკვირველია, ქართველთა გულ-გრილობა იყო, მეორე იგივე „შიში". კონსტიტუციამდის როგორ გაჰბედავდა ქართველი ქართველთან მისვლას, მეტადრე ქართველ მუსულმანთანაო. დღეს საზოგადოების მარტო სახელი („იუნიონი") თუ ვინმეს ახსოვს. კონსტიტუციის შემდეგ, იმავე პატრი მერაბისა და სხვათა მეცადინეობით დააპირეს „კავკასიის ერთობის" საზოგადოების დაარსება. მოელაპარაკნენ ამ საგანზედ ჩერქეზ ალი-იჰსან-ბეის, რომელიც დამაარსებელია ჩერქეზთა კლუბისა. საზოგადოებაში უნდა შესულიყვნენ ჩერქეზები, ლეკები, ქართველები და სხვა კავკასიელები. სახელწოდებაც უნდა ჰქონოდა ამ საზოგადოებას შემდეგი: „კავკასიის ერთობა", ოტტომანური საქველმოქმედო საზოგადოება. ეს იმიტომ, რომ რაიმე პოლიტიკური მიზანი არ შეეწამებინათ საზოგადოებისათვის. კლუბის დამაარსებელთა კრებაც მომხდარიყო. მაგრამ ჩერქეზებმა მოიწადინეს თურმე სახელი თავიანთი დაეტოვებინათ — ჩერქეზულ კლუბისა; ქართველები და სხვები კი ამაზედ არ დასთანხმებულიყვნენ და ამით „კავკასიის ერთობის" საქმე ჩაიშალა. დარჩა მხოლოდ ჩერქეზების კლუბი, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა ჩერქეზი დიდ-კაცი და ინტელიგენტი; კლუბის საქმეც კარგად მიდის. ქართველს კი ვერ გაუბედნია ჩერქეზებს მიჰბაძოს.

*) იხ. „დროება", N 23.

აცვიანებს შეატყობინოს სახელმწიფოებს, რა შედეგიც მოჰყვება მოლაპარაკებას ... ვენის მთავრობა აღნიშნავს რუსეთის მთავრობისა და თავის შეხედულების იგივეობას წინასწარ მოლაპარაკების შესახებ. ორივე მთავრობა მოწადინებულია დაიცვას კონფერენცია მოსალოდნელ კონფლიქტებისაგან. აზრთა გაზიარება სახელმწიფოთა შორის უნდა არსებითად შეეხოს კონფერენციის პროგრამის მუხლებს. თუ სავსებით ამის შესრულება შეუძლებელია, უნდა შეეხნენ მთავარ მუხლებს მაინც. წინდაწინვე უნდა შეიმუშაონ ფორმულები, რომლებიც საზღვარს დაუდებენ კამათს საკითხების განხილვის. რუსეთის მთავრობა უეჭველად თანახმა იქნება, რომ შეეხნენ ბოსნია-ჰერცოგოვინის შეერთების საკითხს გარეშე თვით ფაქტის შეერთებისა. ავსტრიის მთავრობა იმიტომ არის ამაში დარწმუნებული, რომ შეერთება დამყარებული იყო ამ ორ სახელმწიფოს შორის შეკრულ ტრაქტატებზე. თუმცა რუსეთის მთავრობა შენიშნავს, რომ ავსტრიის პროექტით კონფერენციის მოწვევა დაგვიანდებაო, მაგრამ ამაზე დასთანხმდება, თუ სხვა სახელმწიფოებიც თანხმობას გამოაცხადებენო. ვენის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, თავისწინადადებით მიმართოს სხვა სახელმწიფოებს, რომელთაც რუსეთის მთავრობა აცნობებს თავის აზრს. ამასთანავე ვენის მთავრობა მზად არის, მოლაპარაკების დროს გამოსთქვას თავისი აზრი კონფერენციის პროგრამის იმ მუხლების შესახებ, რომლებიც რუსებს აინტერესებს.

## საზღვარ-გარეთ

**სან-სებასტიანი.** ესპანიის ჩრდილოეთ ადგილებში საშინელი გრიგალი მძვინვარებს. ზოგიერთი უბანი ბილბაოში წყლით აივსო, მდინარეები ნაპირებიდან გადმოვიდა. კანტაბრიის ნაპირებზე ნავებით მიმოსვლა შესწყდა.

## რუსეთი

**კიევი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე კენევის ქალაქის თავის. მას ბრალდებოდა საზოგადო ფულიდან 47.000 მანეთის გაფლანგვა. პალატამ ყოფილ ქალაქის თავს მიუსაჯა 4 წლით ციხე, ხოლო კენევის ობოლთა სასამართლოს წევრს და ქალაქის გამგეობის 2 წევრს უყურადღებობისათვის—ორ-ორი თვით ციხე.

**იაკუტსკი.** ოლქის უფროს ერთმა ტუნგუზმა განუცხადა, რომ მდინარე ტალღაში ამოჩნდა ოქრო ზოდობით. მდინარე ტალღის სათავე ოლეკმის სათავესთან არის.

**რიგა.** სამხედრო სასამართლომ ს.-ლემ. პარტიის ქალაქ მიტავის მოწყობილების ორგანიზაციის საქმის გამო მიუსაჯა: ორ მოწავეს კატორღა 4 წლით, ერთს სამუდამო გადასახლება; რვა გაამართლა.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 26, გარდაიცვალა 4.

**კიევი.** დამე კიევის მახლობლად მდებარე სლობოდკაში გადაიწვა ხის სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო წიდების სამკერვალო. სამკერვალოში დაიწვა 5 კაცი.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა გაზეთ „ვეჩერის“ რედაქტორი დაასაჯა რამე 500 მანეთით მასონების ლეგაციის შესახებ დასტამბულ შენიშვნის გამო.

საღამოს 5 საათზე ტრამვაის ვაგონის უკანა ბაქანზე მდგომი ტრამვაის გამგე პრეისი სასიკვდილოდ დასჭრა პარკიდან დათხოვნილმა მუშამ. მუშამ პრეისს ორჯერ დასცა ხანჯალი.

**ხარბინი.** ხარბინზე გაიარა შუაგულ აზიის ცნობილმა მკვლევარმა შვედმა სვენგედინმა. აღმოსავლეთის შემსწავლელ საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ, რუსეთისა და იაპონიის ელჩებმა მიულოცეს ტიბეტში ორი წლის მოგზაურობიდან მშვიდობიანად დაბრუნება.

**პეტერბურგი.** საღამოთი ქალაქის საბჭოს ალექსანდროვის დარბაზში მოხდა სრულიად რუსეთისა ქალთა უკანასკნელი სხდომა. წაიკითხეს სია მილოცვებისა, რომლებიც მოუვიდა კრებას სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციებისაგან, როგორც რუსეთისა ისე საზღვარ-გარეთიდან. წაიკითხეს რამდენიმე მოხსენება. გამოაქვეყნეს რეზოლიუციები კრების ოთხ სექციის მიერ შემუშავებული. ღამის 11 საათზე კრება დახურულად გამოცხადდა.

**ოდესსა.** სამხედრო სასამართლო შეუდგა გორდიგოვის ფურმანის საქმის გარჩევას. ფურმანს ბრალდება 8 ნოემბერს დერიბასოვის ქუჩაზე გრენადერთა პოლკის აფიცრების მოკვლა. სასამართლოს თავმჯდომარეობს გენერალ-მაიორი შებეკო. დაბარებულია 42 მოწმე.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ნამესტნიკის შუამდგომლობა რევიზიის შესახებ.** „კასპი“-ს ტფილისიდან ატყობინებენ: „ნამესტნიკმა დეპეშით შუამდგომლობა აღძრა კავკასიის რევიზიის დანიშვნის შესახებ. დეპეშითვე აცნობეს, ყურადღებას ნუ მიაქცევთ ამ ბოლო დროს ბომბდარ ამბებსაო“, ესე იგი პურიშკევიჩის სიტყვასაო.

**კანონ-პროექტი დროებით ვალდებულ გლეხთა შესახებ.** ბაქოს გაზეთების სიტყვით, სხ. სათათბიროს სოც.-დემოკრატ დეპუტატებს შეაქვთ სათათბიროში კანონ პროექტი კავკასიაში დროებით ვალდებულობის მოსპობისა და დროებით-ვალდებულ გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

**რეპრესიები კავკასიის სასულიერო უწყებაში.** „ვესტ. ბაკუ“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: „სინოდმა დაადგინა, კავკასიის სასულიერო უწყების დაწესებულებიდან დაითხოვოს თხუთმეტი მოსამსახურე. მოელიან, რომ სამსახურიდან ბევრ სხვას დაითხოვენ. გადასცეს საკითხი საექსარხოსოს გაუქმების შესახებ“.

**არმავირ-თუაფსეს რკინის გზა.** როგორც ვიცით, დიდიხანია ლაპარაკია არმავირ-თუაფსის რკინის გზის გაყვანის შესახებ. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ფრანგ კაპიტალისტთა შემწეობით გაზაფხულზე შეუდგებიან გზის გაყვანას.

**სომხების დეპეშა.** ტფილისელ სომხებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნიათ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარის ხომიაკოვისთვის: სომხის საზოგადოება ღრმად აღშფოთებულია დეპუტატ პურიშკევიჩის საზიზღარ საქციელით და იმ ბრალდებით, ვითომ სომხები სეპარატისტები იყვნენ. სომხის საზოგადოება პროტესტს აცხადებს ჰორებისა და ცილისწამების წინააღმდეგ და ზიზღს უცხადებს პურიშკევიჩს და მის თანამოაზრეთ, რომელთაც უნდათ ინსინუაციებით და გამოგონილ ფაქტებით დაარღვიონ ჩვენი კუთხის მშვიდობიანი და კულტურულ წარმატება. გთხოვთ, ჩვენი პროტესტი აცნობოთ სახ. სათათბიროს.

**ჯილდო.** როგორც პარიზიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში პარიზის აკადემიას განუხილავს ქ-ნი ბარბარე ყიფიანისა და ლოტეიკოს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეეხება ბრიუსელში მცხოვრებ ვეგეტარიანელების ჯანმრთელობას აკადემიამ მიიწონა სამეცნიერო გამოკვლევა და მათ ჯილდო დაუნიშნა შრომისათვის.

**სანოვაგის სიძვირე და ჩარჩები.** საშობაო დღესასწაული მოახლოვდა და ტფილისში უკვე მოაქვთ სოფლელთ მრავალი სანოვაგე გასასყიდად. მიუხედავად ამისა, ყველაფერი ძვირად ფასობს. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩარჩები მოქმედებენ. საჭიროა, რამდენადაც ქალაქის გამგეობას ღონე შესწევს, მოაწყოს ბრძოლა ჩარჩების წინააღმდეგ.

**საფრენი მანქანა.** 20 დეკემბრისათვის დანიშნულია კრება სატეხნიკო საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრებისა. კრებას სხვათა შორის, ნანსის საინჟინერო ინსტიტუტის სტუდენტი ერვან. ზარინცი წარუდგენს განსახილველად თავის მიერ გამოგონილ მფრინავ აპარატს კრება მოხდება პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში.

**ფასდაკარგული აღმასრულებელი ფურცლები.** ტფ. ქალაქის გამგეობა, როდესაც მოიჯარადრეებს თუ სხვა მოვალეებს ველარ ახდევინებს, სასამართლოს წესით აღმასრულებელ ფურცლებს იღებს. ასეთი აღმასრულებელი ფურცელი ქალაქის გამგეობაში რამდენიმე ათას მანეთისა შეკრებილა. ამ რამდენიმე ხნის წინად ქალაქის გამგეობამ გამოიწვია საამშენებლო განყოფილებაში საქმის მწარმოებლად ნამყოფი ნაფიც ვექილის თანაშემწე ბ-ნი არვანოვი, ჯამაგირად თვეში 60 მან. დაუნიშნა და დაავალა მხოლოდ აღმასრულებელ ფურცლებით ფულის გადახდევინება. არვანოვი ორ წელიწადს ყოფილა, 1200 მან. მიუღია, მაგრამ მხოლოდ ხუთიოდე აღმასრულებელი ფურცელი შეუსრულებია. ამრიგად, 5 ფურცლის შესრულებისათვის ქალაქის გამგეობას მოუცია 1200 მ. არვანოვი კარგა ხანია სამსახურიდან გავიდა და აღმასრულებელ ფურცლების შესრულების საქმე დღემდე უნუგეშო მდგომარეობაშია წინად ამ ფურცლების შესრულება ევალებოდა სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს. 7000 მან. მართებს ქალაქის ბორნის ყოფილ მოიჯარადრეს ბუდილოვს, 7000 მ. ქებაძეს და სხვ. ამ დღეებში ქალაქის იურის-კონსულტმა ოფიციალურად აცნობა გამგეობას, რომ აღმასრულებელ ფურცლებიდან 27,000 მანეთის ფურცელი ისეთს პირებზეა, რომ ვერაფერს ვერ მივიღებთო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საიურის-კონსულტო ნაწილს წარუდგინოს დამატებითი მოხსენება, რა საბუთები აქვს იმისა, რომ 27,000 მანეთი დაკარგულია.

**საიდუმლო საყაბო.** ტფ. სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებმა მადათოვის კუნძულზე აღმოაჩინეს საიდუმლო საყაბო. ჩუმად და შეუმოწმებლად ჰკლავდნენ საქონელს სანდრო ჯუღელოვი, ეფქიევი და ილია პავლიაშვილი.

**ქალაქის საბჭო.** დღეს, 18 დეკემბერს, საღამოს 8 საათისათვის დანიშნულია სხდომა ტფ. ქალაქის საბჭოსი. საბჭო განაგრძობს 1909 წლის აღრიცხვის განხილვას.

# ფიქრები აღზრდა-განათლების შესახებ

## I

თითეული ადამიანი მეტ-ნაკლებად ჰგრძნობს, რომ ბუნებას რაღაც მტკიცე კანონი უდევს საფუძვლად, რომლის დარღვევა თვით დამრღვევს სასტიკად სჯისო. აღზრდა-განათლების უმთავრესი საგანი—ამ ბუნებრივ კანონის გამორკვევა და მასთან შეთანხმებული მოქმედებაა.

ადამიანის ცხოვრების ღრმად და სავსებით გამორკვეულ კანონს ქრისტიანულ მოძღვრებაში ვპოულობთ, რომელიც უნდა გაწმენდილ იქნას ყოველნაირ ცრუ-მორწმუნეობისა და სისწაულებისაგან, რადგან ყველა ეს ჰბრდიალავს ქრისტიანობის ძირითად აზრს და იმას შეგნებას აბრკოლებს. საჭიროა ამ მოძღვრების კრიტიკულად განხილვა და იქ დაცულ ძირითად აზრის გამორკვევა. ქრისტიანულ მოძღვრებაში ძლიერ მარტივადაა გადაწყვეტილი აღზრდა-განათლების უმთავრესი საკითხი და იქვე მოიპოვება უდიდესი ძალა სულიერი აღმაფრენისა, რომელიც ნათელ ჰფენს ადამიანისათვის იმის არსებობის ამ წუთი სოფელში და ამავე დროს იხსნის მას და მის მახლობელთ ცხოვრების ყოველნაირ უკუღმართობისაგან. ქრისტიანულ მოძღვრების ფილოსოფია გარეგნულად ერთობ მარტივია, შინაგანი აზრი კი ამ ფილოსოფიისა რთული და მრავალ-მხრივია. ყველა ეს მკაფიოდ და ნათლად სჩანს სახარების იგავებსა და აქა—იქ გაფანტულ ფიქრებში, რომელთაგან თითეული ცალკე თითქო რაღაც ოქროსგან ამოტაცებულ ქვეყნის ბჭეთა გაღება, პატარა კლიტეა თითეული მათგანი ადამიანის ცხოვრებას ნათელს ჰფენს და ამავე დროს იმის გონიერ აღზრდა-განათლების საკითხს არკვევს. ეს მოძღვრება უმოქმედობის წყარო კი არ არის, როგორც მას ცოდნის დასწამეს ზედა-პირულად მოაზრე ადამიანებმა,—პირიქით, იქ დაცულია მარად ცოცხალი ძალა, რომელიც ადამიანს მრავალ-მხრივ სამოქმედოდ შესძრავს.

ავიღოთ მაგალითად სახარების ერთ რეგ წოდებული „ოქროს მცნება“—„ნუ უზამ იმას სხვას, რაც შენთვის არა გსურს“. ეს ვითომ და უმოქმედობის მცნება ადამიანის ცხოვრების ყველა სამოქმედო საკითხის გადამწყვეტია.

დღეს ჩვენ მთელ კაცობრიობას ორ ბანაკად გაყოფილს ვხედავთ: მაღალ და დაბალ წოდებად, შრომის და უშრომელ ხალხად. უშრომელმა ხალხმა ისეთ პირობებში ჩააყენა მშრომელი ხალხი, რომელიც თავისთვის არ სურს: დილიდან საღამომდის მძიმე და შავი მუშაობა დააკისრა, და ამნაირად თავისთვის სასიამოვნო და თავისუფალი ცხოვრება შექმნა. ნამდვილი ქრისტიანული კაცთ-მოყვარეობა კი ავალებს თითეულ ჩვენგანს მისთვის საჭირო შავ მუშაობას და ამ საფუძველზე ადამიანის აღზრდა-განათლებას დამტკიცებას.

ის სკოლა, რომელიც უნდა გაიაროს თითეულმა ადამიანმა (ერთ კერძო ოჯახისა თუ ძირითად საკითხებში რამდენსამე თანამოაზრე ოჯახის ფარგალში იქნება იგი მოქცეული), უნდა ასრულებდეს ამ ძირითად ქრისტიანულ მოთხოვნილებას: თითონ უნდა ეასრობ მისთვის საჭირო შავი სამუშაო.

შეიძლება მოგვიგონ, რომ ამ გზით მაინც არ მოესპობა თავისუფლება „თეთრ კანიან ზანგების,“ რომლებიც დილიდან საღამომდის, ქარხნებში და სხვა და სხვა სახელოსნოებში მოშრომელნი, ჩვენთვის ყოველნაირ ნივთებს ამზადებენ, რომელთა დამზადება სახლში არ შეგვიძლია.

შეგვიძლია უპასუხოთ, რომ მხოლოდ მაშინ, როცა შავ მუშაობას შევეჩვევით და შინაურმა— მოსამსახურეებისაგან განვთავისუფლდებით, როცა მათ სამუშაოს ჩვენვე შევასრულებთ, მათი ტვირთვის ერთ ნაწილს ვიკისრებთ, მხოლოდ მაშინ შევიგნებთ მუშა ხალხის ნამდვილ მდგომარეობას, სისწორით დავაფასებთ იმის მძიმე სამუშაოს და ამგვარად მოვიპოვებთ საჭირო მხნეობას მუშა ხალხის ხვედრის შესამსუბუქებლად.

როცა ჩვენ ოჯახს შინა-ყმა მოსამსახურეებისაგან გავანთავისუფლებთ და ჩვენ შვილებთან ერთად შავ მუშაობას ხელს მოვკიდებთ, საერთო ძალღონით ზნეობრივ ერთობასა და სიმტკიცეს შევიძენთ და ამგვარად, შინაგან დარსებთ-მოპოებულნი, ჩვენივე თავის მიმართ მეტ პატივის ცემას ვიგრძნობთ. როცა თავიდან მოვიშორებთ იმ შინაგან იარას, რომელიც ღრღნის და ძირს უთხრის ჩვენ ოჯახს, უმოსამსახურეებოდ ვიცხოვრებთ, რომლებიც ჩვენც გვრყვნიან და თვითონაც ირყვნებიან, მაშინ ჩვენ შვილებთან ერთად მტკიცედ გადავდგამთ პირველ ნაბიჯს, რომელსაც შემდეგ ამგვარივე მტკიცე ნაბიჯები მოჰყვება. ზნეობით წმინდა გლეხის ოჯახში არსებული შინაგანი კავშირი უმთავრესად იმ საერთო შრომის შედეგია, რომელსაც ოჯახის თვითეული წევრი ეწევა, აგრეთვე იმ გარემოებისა, რომ გლეხის ოჯახში შინაურ ბატონ-ყმობას არა აქვს ადგილი. თუ ჩვენ ოჯახში მტერს არ შევუშვებთ, ადამიანისაგან ადამიანის დაჩაგვრას არ დავაწესებთ, მაშინ სახლში ერთ-ურთ შორის კავშირს მოვიპოვებთ, მტკიცე ზნეობრივ რაზმად შევერთდებით, უოშენოდ გარეშე მტერთან, ამ სოფლიურ ბოროტებას—გარყვნილებასთან, საბრძოლველად.

ჩვენი ოჯახის შინაგანი განხეთქილება, რომელიც იქ არსებულ ბატონ-ყმობაში გამოიხატება, ჩვენ შვილებს საფუძვლიანად ჰრყვნის. იმათ ხშირად ესმით სიტყვები კაცთ-მოყვარეობის, ცხოვრების მაღალი მიზნის, იდეალის შესახებ, მაგრამ ამ სიტყვების ასრულებას ვერ ჰხედავენ თავიანთ ოჯახში, ამიტომ ამგვარ ცხოვრების მაღალი მიზანი და იდეალი არას სწავლობ. ისინი ვერ ჰპოულობენ თავის ოჯახში მტკიცე საფუძველს, რათა ზედ დამყარდნენ. იქ არ მოიპოვება ის შინაგანი ფოლადი, ის ზნეობრივი ქვითკირი, რომელიც პატარა ციხედ აქცევს ერთ-მორწმუნე და ერთ მისწრაფებით აღფრთოვანებულ ოჯახს; ამიტომ გარეშე მავნე გავლენა ადვილად ერევა შიგნიდან მერყევ, მტკიცე შინაგან საფუძველს მოკლებულ ბავშვებს.

**ილია ნაკაშიძე.**

# საფრანგეთის ეროვნული სიმდიდრე

(წერილი საფრანგეთიდან)

ყოველ თვის თავზე საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი საქვეყნოდ აცხადებს საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის რაოდენობას და ყოველთვის იქვე მოჰყავს შედარებითი სტატისტიკა გასულ წლისა. შორიდან რომ დაჰხედოს ადამიანმა ამ ცხრილს, დაინახავს, რომ ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობა საოცარის სისწრაფით ეცემა. მაგალითად, წრეულს, 11 თვის ბალანსი გატანილ საქონლისა 300—400 მილ. ფრანკით ნაკლებია შემოტანილზე, შარშანდელიც ნაკლები იყო ... წინდელზე, მაშასადამე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის წარმოება არა თუ არ ვითარდება, არამედ უკან-უკან იწევს, ე. ი., ამბობენ აქაური პესიმისტები, საფრანგეთის ეკონომიური დაქვეითება და გაკოტრება მოელისო.

ნამდვილად კი მის ეკონომიურ ევოლიუციას არას დროს არ უვლია ისეთის სისწრაფით, როგორც უკანასკნელ 10—15 წლის წინად. მართალია, შედარებითი სტატისტიკის ბალანსი უნუგეშოა: საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა უკან-უკან იწევს, მაგრამ მისი ეროვნული სიმდიდრე უფრო სწრაფის ნაბიჯით მიდის წინ. ეს ორნაირი ევოლიუცია წინ და უკან ერთხელ კიდევ ამტკიცებს უკვე ათასჯერ დამტკიცებულ ჭეშმარიტებას, რომ ამა თუ იმ ერის ან ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მდგომარეობა ერთად-ერთი საზომი არ არის ამავე ქვეყნის ქონებრივ კეთილდღეობისა. საქმე იმაშია, რომ საფრანგეთი საგარეო ვაჭრობის დანაკლისს ერთი ათად ინაზღაურებს ოქროთი. ამ მხრივ იგი უმდიდრესი ერია მთელ ქვეყანაზე, მსოფლიო ბანკირია, რომელიც ბევრს არაფერს აკეთებს, მისი მრეწველობა გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე მისი მეზობლების, მაგრამ იგი მაინც სხვებზე მდიდარია, ვინაიდან მას აუარებელი ოქრო აქვს. ერთის სიტყვით, გუშინდელი მრეწველი დღეს ბანკირი გახდა და არც წააგო.

სიტყვა ციფრებს დავუთმოთ.

ამ ცოტა ხანებში დაიბეჭდა ცნობილ ეკონომისტ-ფინანსისტის ედმონდ ტერის მშვენიერი თხზულება „საფრანგეთის ეკონომიური პროგრესი 1892 წლიდან“*) აი მოკლე და მეტად საინტერესო შინაარსი ამ თხზულებისა.

16 წლის განმავლობაში საფრანგეთმა გაასესხა 16 მილიარდი ფრანკი ოქროდ. ეს ფული, სხვა და სხვა სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებად ქცეული, ამ ჟამად ისევ ფრანგების ხელშია (დაიხსომეთ, რომ ეს 16 მილიარდ., საფრანგეთმა წმინდა ოქროდ გასცა) ოფიციალური სტატისტიკა კი აცხადებს, რომ 1892 წ. 1 იანვრიდან 1907 წ. 31 დეკემბრამდე საფრანგეთიდან ოქროდ გასულა მხოლოდ 2,607 მილ. ფრ. და იმავე ხნის განმავლობაში შესულა 6,536 მილიონი, ე. ი. თითქმის 4 მილიარდით მეტი (მიუმატეთ 16 მილიარდის ფასიანი ქაღალდები).

ეხლა იკითხავთ, როგორ მოხდა რომ ფრანგების ხელში ამოდენა ოქრომ მოიყარა თავი? ზემოხსენებული ავტორი ასე ხსნის ამ მოვლენას. 1892 წლამდე საფრანგეთს წელიწადში საშუალოდ 793 ფრანკის საზრდო-სანოვაგე გაჰქონდათ უცხოეთში (უმთავრესად გაჰქონდა ძვირფასი ღვინო, ერბო, ყველი, ხილი და სხ.) და შემოჰქონდა 1,488 ფრ. საქონელი (უბრალო ღვინო, ხორბალი, საკლავი საქონელი, ყავა, კაკაო, ჩაი და სხ.). ამ რიგად იგი წელიწადში უცხოელებს აძლევდა ზედმეტად 695 მილიონს. მაგრამ საფრანგეთის წარმოებამ იმ წლიდან საოცრად იმატა და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მას თითქმის მხოლოდ ისეთი საქონელი შემოჰქონდა უცხოეთიდან, რომელსაც მისი ნიადაგი არ იძლეოდა. მეორე უმთავრესი მიზეზი საფრანგეთის გამდიდრებისა ის არის, რომ უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში საფრანგეთის აუარებელი უცხოელი აწყდება. სხვა ქვეყნებისა და უფრო კი ამერიკისა, ავსტრალიის, იაპონიისა და ჩინეთის ეკონომიურმა განვითარებამ გამოიწვია ხალხისა და საქონლის მოძრაობა და მისვლა-მოსვლა. ამით სხვებზე უკეთესად საფრანგეთმა ისარგებლა, უკეთ რომ ვსთქვათ, მას ბედი ეწვია. მიზეზი?

*) ამ ერთიოდე თვის წინად განთქმულმა ეკონომისტმა ლერუა ბოლიემ გამოაცხადა რომ იმის ანგარიშით მთელი საფრანგეთის სიმდიდრე უდრის 226 მილიარდ ფრანკს.

„კავკასიის“ კლუბი სტამბოლში, ჩვენთვისაც რომ ვსთქვათ, მართლაც შეუძლებელია. ჯერ ერთი, რა ენაზედ უნდა ილაპარაკონ ერთმანეთთან „კავკასიელებმა?“ როგორც არ არსებობს კავკასიის ერთი ერი, ისე არ არსებობს „კავკასიური“ ენა, და როგორ შეიძლება კავკასიელთა ერთ კლუბში მოთავსება და ერთ ენაზედ ლაპარაკი. მეორე—კავკასიელ ერთა ინტერესები, სჯული, კულტურა, ზნე-ჩვეულება და სხვა, არც ისე ავანტიურნი არიან, რომ მათი მშვიდობიანი ცხოვრება შეიძლებოდეს ერთ ჭერ-ქვეშ. მარტო სჯულის განსხვავების წყალობით, ჩვენ, ქართველებიც კი ვერ შევთანხმებულვართ, ერთი ენისა, ერთი კულტურისა და წარსულ ისტორიის მქონენი, და როგორ შეიძლება კავკასიის მრავალ ინტერესთა მქონე მრავალფეროვანი ერები შეაერთო? მათ შორის მხოლოდ ფედერატიული კავშირი შეიძლება, ისიც დიდის გაჭირვებით.

წარმოიდგინეთ, კლუბშიაც ეს საკითხი იყო თურმე წამოყენებული: ჯერ თვითოეულმა ერმა დავიარსოთ ჩვენ-ჩვენი კლუბი და მერე შევერთდეთ ძმურად, თუ ეს საჭირო და შესაძლებელი იქნებაო. ბ-ნი მემარნე იყო თურმე ამ აზრის დამცველი ქართველ მუსულმანთა შორის.

ეს მცირე მაგალითი ჩვენთვისაც საგულისხმიეროა, როდესაც მუდმივი ბჭობა გვაქვს ხოლმე კავკასიის საქმეთა მოწესრიგების შესახებ. აქ, შორეულ სტამბოლში, რამდენიმე „კავკასიელის“ შეკრება იყო მხოლოდ საჭირო, სულ მცირე მიზნის განსახორციელებლად,—კლუბის დასაარსებლად,—და მყისვე ნათლად გამოჩნდა შეუძლებლობა კავკასიელთა ერთ ჭერ ქვეშ ცხოვრება და ბუნებრივად ავტონომიებზე დაიწყო ლაპარაკი პატარა მიზნის აღსასრულებლადაც კი. ერთმა ერმა კიდეც დაიარსა ეს „ავტონომია“—ჩერქეზული კლუბი. სხვები რას იზმენ, მომავალი გვიჩვენებს. ალბად, სხვებიც მათ კვალს მიჰყვებიან მალე.

დიახ, პატარა საქმე შეიძლება დიდის სურათი იყოს, და დაე ეს მცირე ფაქტიც ჩაავლონ ანგარიშში, როცა ისე თამამად ლაპარაკობენ ხოლმე „კავკასიაზედა“ და მის „საერთო“ პარლამენტზე.

დასასრულ, რაკი პერ მერაბის მოღვაწეობაზე მოვახსენე მკითხველს მცირე რამ, არ შემიძლიან პერ ანდრია წინამძღვარიშვილზედაც არა ვსთქვათ-რა: ამას შეუდგენია უზარმაზარი ფრანგულ-ქართული ლექსიკონი; წიგნი დიდის ფორმატისაა და შეიცავს 1006 გვერდს. სიტყვები და მათი რიგი აკადემიის დიდი ლექსიკონიდან არის აღებული. ეხლა პერ ანდრიას გასწორება უნდა ამ ლექსიკონისა, აპირებს მის გამოგზავნას საქართველოში რომელიმე ქართულისა და ფრანგულის მცოდნესათვის, რომ გასწორების შემდეგ შეუდგეს მის ბეჭდვას აქ, ფერი-კეუის მონასტრის ქართულ სტამბაში, რომელიც ჯერ-ჯერობით უქმადა სდგას საქმეთა უქონლობისა გამო.

**უსახლ-კარო.**

ჯერ ერთი, მისი გეოგრაფიული მდგომარეობა, მერე ის საერთო სიმპატია საფრანგეთისა და ფრანგებისადმი, რომელიც ყოველ განათლებულ ადამიანს ჩაუნერგა გულში მათმა მშვენიერმა ისტორიამ და ლიტერატურამ, მშვენიერი ბუნება, შენება ქალაქსა და სოფელში, სიმდიდრე ხელოვნურ ნაწარმოებისა, მეცნიერებისა და სხ. და სხ. ყველა ეს, როგორც მოგახსენეთ, წელიწადში ქვეყნის ყველა კუთხიდან რამდენსამე მილიონ შეძლებულ კაცს იზიდავს. ისინი აუარებელ ოქროს სტოვებენ საფრანგეთში და სამაგიეროდ უმთავრესად ხელოვნური ნაწარმოები და ზიზილ-პიპილოები გააქვთ, რაიც თვითონ ფრანგებს ჩალის ფასად უღირთ.

კიდევ ერთი მიზეზი ფრანგების სიმდიდრისა: მთელ ქვეყანაზე განთქმული ხელ მომჭირნეობა ფრანგისა. ეკონომიის გაწევითა და თავდაჭერით ფრანგს პირველი ადგილი უჭირავს.

აი უმთავრესი მიზეზები ფრანგების სიმდიდრისა.

1891 წელს ფრანგებს 1,100 მილიონი შემოსდიოდათ გასესხებულ ფულის სარგებლად, ეხლა კი 2 მილიარდამდე შემოსდით. იმავე წელს საფრანგეთის ბანკს ხელუხლებელ თანხად ჰქონდა 1346 მილიონი, ხუთ უდიდეს საკრედიტო ბანკს 1397 მილ., წრეულს კი 1 დეკემბერს საფრ. ბანკს ჰქონდა უკვე 3424 მილ. და იმავე ხუთ ბანკს 4169 მილიონი. ორივეს ერთად 17 წლის წინად ჰქონდათ 2693 მილ., დღეს კი 7593 მილიონი, ე. ი. თითქმის სამჯერ მეტი. **მ. ა.**

## რუსეთი

✦ **დუელი.** გაზეთ „ბირჟ. ვედ." სიტყვით, პურიშკევიჩს გადაუწყვეტია ბარონი ნოლდე დუელში გამოიწვიოს.

✦ **ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის დირექტორი.** ამას წინად პეტერბურგის ქალთა სამკურნალო ინსტიტუტის შენობაში პოლიციამ არა-ლეგალური ლიტერატურა აღმოაჩინა. ინსტიტუტის დირექტორი სალაზკინი ადმინისტრაციას 1000 მანეთით დაუჯარიმებია.

✦ **მოხსენებების აკრძალვა.** პეტერბურგის გრადონაჩალნიკის განკარგულებით, სრულიად რუსეთის ქალთა კრებაზე ადმინისტრაციამ აკრძალა ორი მოხსენების წაკითხვა: „ქალთა პოლიტიკური მდგომარეობა" და „ქალის როლი ქველმოქმედებაში".

✦ **ჩამოხრჩობა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ელისავეტოგრადში, 10, კიევში 1, სევასტოპოლში 6; ჩამოახვრჩეს ეკატერინოსლავში 1.

✦ **მემარჯვენე პრესსის წარმომადგენლების კრება.** მემარჯვენე პრესსის წარმომადგენლების კრება მოხდება 5 იანვარს. ინიციატორობა კრებისა „მთავარანგელოზის მიხეილის კავშირს" ეკუთვნის. კრებაზე მოწვეულნი არიან „გოლ. მოსკ.", „გოლ. პრავ.", „კაზანსკი ტელეგრ." და სხვა მემარჯვენე გაზეთების წარმომადგენელნი. ვ. ი. გურკო წაიკითხავს მოხსენებას ნაციონალურ პრესსის შესახებ.

✦ **პირველ-დაწყებით სკოლების პროექტი.** პირველ-დაწყებით სკოლების პროექტით, ამ ტიპის სკოლები იყოფება ერთ კლასიანად და ორ კლასიანად. პირველში სამ ან ოთხ წელიწადს ასწავლიან, მეორეში ხუთს ან ექვს წელიწადს. პირველ დაწყებით სკოლებში შემდეგი საგნები ისწავლება: სამღთო სჯული, რუსული ენა, ანგარიში, პრაქტიკული გეომეტრია, გეოგრაფია, რუსეთის ისტორია, მცირე ცნობები ბუნების მეტყველებიდან, მართლწერა, სიმღერა-გალობა და ხატვა. იმ ადგილებში, სადაც არა რუსები ალემატებიან რუსებს, პროექტს დედა-ენის სწავლებაც შეაქვს საგნებში. ამასთან ამისთანა ადგილებში პროექტით ნება ეძლევათ პირველ წელიწადს დედა-ენაზე სწარმოებდეს საგნების სწავლება, უკიდურეს შემთხვევებში მეორე წელიწადსაც შეიძლება სწავლება დედა-ენაზე. დანარჩენ წლებში სამღთო სჯულისა და დედა-ენის გარდა, სხვა საგნები რუსულად უნდა ისწავლებოდეს.

✦ **პეტერბურგის „ჭეშმარიტ რუს ქალთა" კავშირი.** პეტერბურგის „ჭეშმარიტი რუსი ქალები" პროტესტს ამზადებენ სრულიად რუსეთის ქალთა პირველ კრების წინააღმდეგ. „ჭეშმარიტ რუს ქალებს" თურმე ის აღელვებთ, რომ ქალთა კრებამ „სრულიად რუსეთის" სახელი მიითვისა, მაშინ როდესაც კრებაში მონაწილეობას არც ერთი „ჭეშმარიტი რუსი ქალი" არ იღებსო.

✦ **ლიახოვი.** „ნოვოე ვრემიას" თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ, პოლკოვნიკი ლიახოვი რუსეთის სამსახურიდან გამოერიდაო.

✦ **მემარჯვენეები და იზვოლსკი.** სახელმწიფო სათათბიროს კულუარებში დიდი აურ-ზაური გამოიწვია მემარჯვენეთა საქციელმა იზვოლსკის შესახებ. უკვე გამორკვეულა, რომ მემარჯვენეები სცდილობდნენ, გარეშე საქმეთა მინისტრი შეეშინებინათ, არეულობას მოვახდენთ, თუ რამე ჩვენი მოსაწონი არა სთქვიო.

✦ **ყვავილის აცრა.** ხალხის ჯანმრთელობის საზოგადოებას, გაზეთ „სლოვოს" სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროში კანონ-პროექტი შეაქვს, რომლითაც ყვავილის აცრა სავალდებულო იქნება.

✦ **კიდევ სად. ბეზდანის გაცარცვის შესახებ.** როგორც ამას წინად ვწერდით, ვინმე ფიალკოვსკიმ სად. ბეზდანის გაცარცვის მონაწილენი გასცა. ჯერ შეუპყრობელ გაცარცვის მონაწილეებს მოუკლავთ ფიალკოვსკის დედა. ამით გაბრაზებულა ფიალკოვსკი და გამომძიებლისთვის სხვა ბევრი რამეები უთქვამს.

✦ **ვალების გამსტუმრებელ სახელმწიფო კომისიაში.** ამ რამდენიმე ხნის წინად რუსეთის გაზეთებში ცნობა იყო, რომ ვალების გამსტუმრებელ სახელმწიფო კომისიაში კუპონები მოუპარავთო. ამ საქმის გამოსაძიებლად კომისია დანიშნეს. საკანტროლო კომისიას 200,000 მანეთის კუპონები აღმოუჩენია დაკარგული. გამორკვეულა, რომ მთავარ ბორდ-მომქმედს, მოხელეს სლავიანსკის მოსკოვის მიდამოებში მშვენიერი მამული შეუძენია, რომელიც რამდენიმე ასი ათასი მანეთი ღირს თურმე. გამომძიებელს ვალების გამსტუმრებელ სახელმწიფო კომისიის მოხელეების ადრესები მოუთხოვნია, რომ საზღვარ გარედ არავინ გაიქცეს.

✦ **ჩამოხრჩობა.** ჩამოხრჩობა გადაწყვეტილი აქვთ: პეტერბურგში 1, ეკატერინოსლავში 9, ეკატერინბურგში 2, ელისავეტოგრადში 7, ხარკოვში 2, კიევში 1, მოსკოვში 2; ჩამოუხრჩვიათ: ტომსკში 3, ვარშავაში 2.

✦ **კიევის „კრამოლნიკი" პირები.** რევოლიუციასთან აქტიურ მებრძოლთა კავშირს პოლიციამ სხვა და სხვა წიგნები წაართვა. ერთ წიგნში პოლიციას ქალაქ კიევის „კრამოლნიკ" პირების სია აღმოუჩენია.

✦ **ტეხნიკი—ქალი.** სვგზაო მინისტრს რუსეთის ერთ რკინის გზაზე ტეხნიკად დაუმტკიცებია ქალი, გვარად პოტვოროსკაია. ეს პირველი მაგალითია, რომ ქალს რუსეთში ამისთანა სამსახურზე ამტკიცებდნენ.

✦ **300 წლის იუბილე.** შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ პეტერბურგში 1913 წელს 14 მარტს გაიმართოს მთელი ქვეყნის გამოფენა. ამ წელს სწორედ სამასი წელიწადი სრულდება, რაც რომანოვების გვარი მეფობს რუსეთში.

## თეატრის მატიანე

**ავლაბრის თეატრი.** დღეს ავლაბრის ახალ თეატრში, განახლების შემდეგ, იწყება წარმოდგენები ახალის დირექციის ხელმძღვანელობით. თუმცა ავლაბრის თეატრში სამი წელიწადი იქნება, რაც სომხურ-ქართულ-რუსული წარმოდგენები იმართება, მაგრამ დღეს მთელი ავლაბარი რომ შემოიაროთ, ვერვის ნახავთ კმაყოფილს, უფრო ხშირად სამდურავი ისმის. ამ ხნის განმავლობაში თითქმის ჯვარს აცვეს ხელოვნება ვიღაც ბიჭ-ბუჭებმა, ვითომდა სცენის-მოყვარეებმა. და რომ სცენის მოყვარეთა რიცხვი მრავალი იყო გასულ წლებში, ამას თვით აქაური მკვიდრნი და გაზეთში მოქცეული რეცენზიებიც მოწმობენ. ეს ვაჟბატონები არაფერს არ ერიდებოდნენ, ოღონდ სცენაზე გამოსულიყვნენ და ბილეთები, რასაკვირველია, ძალისძალით და მუქარით ხელზე ესაღებინათ. თუმცა დღეს ვერაფერი საბუთი გვიჭირავს ხელში კარგა მოეწყობა წარმოდგენების საქმე, თუ ავად, მაგრამ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ განახლებული თეატრის ახალი დირექცია, რომელსაც ხელოვნების მოყვარენი ქ-ნი ადამიანი და ბ-ნი ავეტიანი ხელმძღვანელობენ, კარგად დააყენებს საქმეს და იმ ბიჭ-ბუჭების ანაბრად აღარ გახდიან, რომელნიც სიცოცხლეს უმწარებდნენ ადგილობრივ მკვიდრთ. დღეს პირველი წარმოდგენაა, რომელშიაც საუკეთესო სცენის მოყვარენი იღებენ მონაწილეობას. წარმოდგენილი იქნება რუსულად—„ძვირფასი კოცნა", ქართულად—„ბიძიასთან გამოხუმრება", სომხურად—„ზრდილობა", თათრულად—„კრთ-კრთ"-ი თეატრი, რომელიც ახლად შეაკეთა მემამულე სანიკიძემ, მშვენივრადაა მოწყობილი. იტევს, არა ნაკლებ 400 სულს. წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 ს. **ნინია.**

## სამღვდელოების კრება

15 დეკემბერს ქართლ-კახეთის სამღვდელოების დეპუტატთა სხდომას დაესწრო თავმჯდომარემ განაცხადა: მამათ სადამოდ ვინაშული ექსარხოსის მღადგილე, რომელმაც დაამტკიცა ჩვენი მამათის დადგენილებანი და თანაც დამავალა, მოვახსენო კრებას, რომ მან ან მიიღოს რაიმე საშუალება იმ ვალების ასალებად, რომელიც სანთლის ქარხნისა მართებს სხვადასხვა დაწესებულებას და ზოგიერთ ეკკლესიას ან სულ აპატიოს, რომ აღარ ითვლებოდეს ქარხნის ანგარიშის წიგნებშიო. სხვათა შორის ერთი ვალი ითვლება ექსარხოსის სახლზედ, 6600 მანეთი, რომელიც აუღიათ მენოშის შეხაკეთებლად და აგერ თოთხმეტი წელიწადი გადის და უკან აღარ დაუბრუნებიათ. კრებამ გადაწყვიტა: შემდეგ სხდომისთვის მოიწვიოს სანთლის ქარხნის სარევიზიო კომიტეტის წევრნი და მოსთხოვოს ცნობები, ვისზედ რა ვალია და რა საშუალებისთვის მიუმართავს ამ ვალების ასაღებად.

შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი მრევლის მიერ კრებულის არჩევის შესახებ. ამ საკითხმა ცხარე კამათი გამოიწვია. ზოგმა განაცხადა: თუ ამდენი ხანი აკადემიელს ან სემინარიელს არქიელთან სჭირდა თავის მოხრა და ხვეწნა ცოტაოდენ რიგიან ადგილის საშოვნელად, ეხლა ბოქაულთან და მამასახლისთან სჭირდება მუდარა, რომ არჩეულ იქმნასო. ასეთი მაგალითიც მოიყვანეს, რომ ერთმა პირმა ბოქაულთან საქმე გაიკეთა, ბოქაულმა „პრიგოვორი" დასწერა, დაიბარა მამასახლისი კანცელარიაში და უბრძანა, ხალხს ხელი მოაწერინეო. როდესაც მამასახლისმა ჰკითხა, რაზედ არის განაჩენიო, ბოქაულმა დაუყვირა, შენ რა შენი საქმეაო. მამასახლისმა ასეთსავე მუქარით ხალხს ხელი მოაწერინა და იმ პირმა საუკეთესო ადგილი გაიკეთა. ვინ იცის, რა საშუალებას არა ხმარობენ თურმე, რომ ყოველად უღირსმა პირებმა მღვდლობა ჩაიგდონ ხელში. თავმჯდომარე შეეკითხა დეპუტატებს, მაშ რა ვქნათ, რომ ჩვენიც ნათხოვნია ეს არჩევითი წესიო.

ამის საპასუხოდ ბევრმა ილაპარაკა, სხვათა შორის, მღ. ოქროპირიძემ სთქვა: ჩვენ ესეთი არჩევნები არ გვითხოვნია, ჩვენ რასაც ვითხოვდით, იმისი დამახინჯებული არიდილი მოგვცეს და, მამახადამე, სრული უფლება გვაქვს უარ-ვყოთ იგი რაც არ გვითხოვნიაო. მას მხარი დაუჭირა დეკ. ასათიანმა, მღ. ნინიკაშვილმა, ბებიაშვილმა, წიკლაურმა, და სხვებმა. მღ. გოცირიძემ სთქვა: საქმე უფრო გულდასმით უნდა გადავწყვიტოთ; ვითხოვეთ პური და მოგვცეს პურის ნატეხი; დავაცადოთ და იქნება მთელი პურიც მივიღოთო. ერთმა მღვდელმა შენიშნა: „ვითხოვეთ პური და მოგვცეს ქვაო". მღ. ნინიკაშვილმა დიდხანს ილაპარაკა ამ არსებულ საარჩევნო წესის უვარგისობაზედ და მოითხოვა იმისი გაუქმება. მღ. კანდელაკმა სთქვა: ერთი იმ წევრთაგანი, რომელთაც 1906 წელს დეკემბრის კრებაზედ მოითხოვეს არჩევნითი უფლება მე გახლდით და მაშინ დიდის აღტაცებითაც ვაწერდი ხელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეს მე თითონ მწადიან ამგვარ არჩევნების გაუქმება. მეშინიან პირდაპირა ვსთქვა რომ არჩევნებითი წესი არცა გვქონია, არც მოუციათ და არცა გვაქვს. ვინც ამ წეს გვაძლევდა, იცოდა რასაც გვაძლევდა, ამიტომაც ჩქარა დაიგზავნა ცირკულიარები—მოგვცეთ რასაც თხოულობდით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჯერ მამასახლისს უნდა მოეწონოს, მერე ბოქაულს, მერე სოფლის ჯალალ ბიჭებს და მერე არქიელსაო. თუ ამ განსაცდელებს გადარჩი, ხომ კარგი, თუ არა და მაშინ მორჩა შენი საქმეო!

მღ. ჯალიაშვილმა სთქვა მეც გახლდით იმ კრების ერთი წევრთაგანი. ჩვენ მოვითხოვეთ არჩევნის უფლება არა ბოლოდან, არამედ თავიდან, როგორიც არსებობდა პირველ ეკკლესიაში და ისიც დროებით, ვიდრე საქართველოს ეკკლესია მოიპოვებდა ავტოკეფალურ თავისუფლებას და მერმე თავისუფალი ეკკლესია თვით მოუვლიდა თავის თავს. მანამდე არჩევნები თვით ეპისკოპოსიდან უნდა დაწყებულიყო. ეხლა-კი არჩევნების უფლება ბოლოდან მოგვცეს ე. ი. არჩევა შეიძლება: დიაკვნის, მღვდლის და ბლაღოჩინის. ეს საგანგებოდ იყო მოხერხებული, რომ ამ რიგად საქართველოს ეკკლესიის ბატონ-პატრონად გამხდარიყვნენ ისეთი პირნი, რომელნიც ჩქარა მოუვლებდნენ მას ბოლოს, რაც ცხადად დაგვანახა ერთი წლის პრაქტიკამ. ამ აზრითვე სამღვდელო სარიცხვის მოსაპოვებელ გამოცდის პროგრამამაც ისე იქმნა შემცირებული, რომ ყველას შეეძლიან ჩააბაროს, თუნდაც სკოლის კარები არ ენახოს და არც მონასტერში ყოფილიყოს. უნდა ვეცადოთ, ბოლო მოვუღოთ ამ სისაძაგლეს და ვიხსნათ ეკკლესია საბოლოო დაღუპვისაგან.

ბოლოს კრებამ დაადგინა, სთხოვოს ექსარხოსის მოადგილეს, აღძრას შუამდგომლობა სინოდის წინაშე, რომ ამ არსებული წესი არჩევნებისა შეჩერებულ იქმნას იმ დრომდის, სანამ სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრება არ განიხილავს საქართველოს ეკკლესიის საკითხს.

სხდომის განაპირების შემდეგ განხილულ იქმნა საკითხი სამღვდელო პირთა მატერიალურად დაკმაყოფილების შესახებ. ამანაც დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი იკამათეს, მაგრამ ვერსიდან ვერ მოუარეს ამ საკითხს. რადგა ჯამაგირის მომატებას შეეხებოდნენ, მაშინვე წარმოუდგებოდათ თვალწინ რუსეთის გამოცალიერებული სახაზინო და თავის ქნევით ამბობდნენ, ეს ოცნებააო. როცა მღვდელს მიწას მისცემენ, მაშინ ის სწორედ ქართველ ავტორიტეტებით მიუყენებს, თუ როგორ აქვს მღვდელს სახლი სრულიად დაქცეული, ერთ-სართულიანი კედლებით, აივნით, დაზიანებული შენობა, და ისიც სამაგალითოდ გადახურული. როგორც წესი მოითხოვს, მღვდელი თავის კუთვნილ სამწყსოში, რომ ხალხს თითქოს კარგად აქვს და არც მისი სამსახური... ასე ცხოვრობს ხალხი. მღვდელი სარგებლობს მიწით მცირედის შემოსავლით. ამბობენ, რომ ერთი ეკლესიიდან მეორეში გადასვლის შემდეგ სამღვდელოების ნაწილს ძველი ადგილიდან ფასი აქვს გამოსაღები. ბოლოს კრებამ დაადგინა: 1. ითხოვოს ჯამაგირის მომატება; 2. სადაც შესაძლებელი იქნება, ისე რომ გლეხს არა დააკლდება რა, ითხოვოს მიცემა მიწა; 3. მიმართონ მრევლს, რომ თუ იგი საჭიროდ სთვლის თავისთვის მღვდელს, შეძლებისა დაგვარად მისცეს საშუალება. მღვდლებს-კი დავავალოთ, ყოველივე ღონე იღონონ, რომ არ შეუშინდნენ გაჭირვებას და თავიანთ ცხოვრებით ჭეშმარიტი მაგალითი მისცენ ხალხს; ის მღვდელი, რომელიც თავის უწესო საქციელით რაიმე ცუდ მაგალითს მისცემს ხალხს, თავისმა თანამოძმეებმა უნდა გაასწორონ და თუ ვერ გასწორდება, იმუამდგომლონ სრულს დათხოვნის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**

## განცხადებანი

**ექიმი უ. მ. ჩიქოვანი**

ავადმყოფებს ელისაბედის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—25)


გალოშები
„პროვოდნიკისა"

1897



პატენტ-მიღებული
სა უკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავს სიმკვირით, და ზედმიწევნით ფასის სილ-მაზით საქონლის ღირსებით.

უეჭველი თვისებობა საქონლის სამაგალითო სიმტკი-ცისა და სიმსუბუქისა უეჭველობით.



გალოშები
პროვოდნიკისა
1888

წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის

ტფილისი და ბაქო. მიუნზ და ვეის

(50—5.—33)

პროვოდნიკის
ამხანაგობა
რიგაში
1888

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნაღდად და ცალობით: ●

რეზინის საქალაქო შინები,

პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი" (წითელი),

პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,

მკვიდრ-რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.

„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

ცალობით ვაჭრობა დიდ-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პროვოდნიკი"-სა